დანართი C1 საჯარო განხილვებისა და კონსულტაციების გეგმა

სარჩევი

1 საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა (PCDP) 1
2 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა 2
3 საჯარო განხილვა და დოკუმენტების გავრცელება 3
3.1 2014 წლის აპრილში გამოქვეყნებული ESIA-ს დამატების თავდაპირველი ვარიანტი 3
3.2 2014 წლის მაისში გამოქვეყნებული ESIA-ის დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტი 4
4 საჩივრის წარდგენის მექანიზმი 5
5 ანგარიშის წარდგენა 5
დანართი A: PAC–ების ნუსხა 7
დანართი B1: განცხადება ESIA-ის დამატების ანგარიშის თავდაპირველი პროექტის საჯარო განხილვის შესახებ 8
დანართი B2: განცხადება ESIA-ის დამატების ანგარიშის შესწორებული პროექტის საჯარო განხილვის შესახებ 10
დანართი C: ESIA-ის დამატებაზე შენიშვნების წარდგენის ანკეტა 12
დანართი D: ESIA-ის დამატების საჯარო განხილვასთან დაკავშირებული შეხვედრების პოსტერი 14

ცხრილები

ცხრილი 1: შეტყობინებები ESIA-ის საჯარო განხილვის შესახებ 3
ცხრილი 2: ESIA-ის დამატების ანგარიშის თავდაპირველი პროექტის საჯარო განხილვის გრაფიკი 4
ცხრილი 3: ESIA-ის დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტის საჯარო განხილვის გრაფიკი 5

1 საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა (PCDP)

წინამდებარე დოკუმენტი არის საქართველოში SCPX ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა (PCDP), რომელიც წარმოადგენს SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის PCDP-ს დამატებას, ასახავს SCPX პროექტის ცვლილებებს და მოიცავს ESIA სამუშაოების და დაინტერესებულ მხარეებთან კონსლუტაციების დროს მიღებულ გამოცდილებას.

PCDP-ს ამ დამატების ჩათვლით აქვს შემდეგი სტრატეგიული და საოპერაციო მიზნები:

- პროექტთან დაკავშირებული ყველა დაინტერესებული მხარის იდენტიფიცირება და მათი ინტერესისა და პროექტის განხორციელებასა და მისი ზემოქმედების მართვაზე მათი გავლენის ხასიათის გააზრება
- დაინტერესებული მხარეებისთვის კულტურულად შესაფერისი, სათანადო და დროული ინფორმაციის მიწოდება პროექტის მიმდინარეობასა და მისი ზემოქმედების შეფასების საკითხებზე
- დაინტერესებული მხარეებისთვის კულტურულად შესაფერისი და დროული შესაძლებლობის უზრუნველყოფა იმისთვის, რომ მათ გამოთქვან საკუთარი აზრი და წუხილი ESIA–ს დამატებასა და პროექტის განხორციელებასთან მიმართებაში და რომ აღნიშნული აზრი და წუხილი აისახოს ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში, სადაც შესაძლებელია
- SCPX პროექტის გუნდისთვის დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული კომენტარებისა და მოსაზრებების მიწოდება
- დაინტერესებულ მხარეთა ეფექტური და მასშტაბური ჩართულობის საფუძვლის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან პროექტისა და ზემოქმედებების რეგულირების პროგრამების ხელშეწყობას
- SCP HGA-ს მოთხოვნათა დაცვის ხელშეწყობა
- იმის უზრუნველყოფა, რომ გადაწყვეტილებებში, შეძლებისდაგვარად, გათვალისწინებული იყოს დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებები, პრიორიტეტები და პრობლემები
- დახმარების გაწევა დაინტერესებული მხარეებისთვის, რათა მათ შეძლონ პროექტის კორპორატიული და ოპერაციული მიზნებისა და მოთხოვნების გააზრება და ირწმუნონ, რომ პროექტს აქვს უნარი რისკის სათანადო ფორმით მართვა.

დაინტერესებულ მხარეებთან (საზოგადოების წევრების ჩათვლით) საჯარო განხილვისა და კონსულტაციის პროცედურები, რომლებიც ჩატარდა (უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მე-9 თავი) და რომლებიც შემოთავაზებულია SCPX-ს დამატების მომზადების პროცესის ფარგლებში მიყვება პროცედურებს, რომლებიც აღწერილია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის PCDP-ში. წინამდებარე PCDP ფარავს შემდეგ საკითხებს:

- კონსულაციის მიზნები
- ნორმატიული და პოლიტიკური კონტექსტი
- SCPX-ის დაინტერესებული მხარეები
- მეთოდოლოგია
- რესურსები და პასუხისმგებლობები
- მონაცემების მართვა
- საჩივრების მექანიზმი
- ანგარიშის წარდგენა

2 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

BP საქართველოში 1990 წლის შუა პერიოდიდან მოღვაწეობს და ამ ხნის განმავლობაში, მან, თავის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებით, განახორციელა ფართომასშტაბიანი საკონსულტაციო პროგრამები დაინტერესებულ მხარეებთან. BP-მ ახლო წარსულში ასწვე განახორციელა მასშტაბურისაკონსულტაციო პროცესი SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მოსამზადებლად, რომელშიც *inter alia* ჩართული იყვნენ ცენტრალური და ადგილობრივი სამთავრობო უწყებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მილსადენის მარშრუტების გასწვრივ მდებარე დასახლებები. შესაბამისად, BP-ს აქვს მყარი ურთიერთობები ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან და ახორციელებს აქტიურ კონსულტაციებს თავის საქმიანობასთან (WREP, BTC და SCP მილსადენები) და SCPX-ის ადრეულ სამუშაოებთან დაკავშირებით. BP პასუხისმგებელი იქნება დაინტერესებული მხარეების ჩართულობაზე როგორც მილსადენის მშენებლობის პროცესში, ისე მთლიან SCPX პროექტში, თუმცა ეს იქნება BP-ს და კონტრაქტორის პერსონალის პარალელური მუშაობისა და ერთიანი ძალისხმევის შედეგი. კონტრაქტორის მოთხოვნები მოცემულია კონტრაქტორის ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის და მონიტორინგის გეგმაში.

SCPX პროექტი და მასთან დაკავშირებული საკონსულტაციო საქმიანობა იყო და მომავალშიც იქნება ტერიტორიის მფლობელ ქვეყანასთან გაფორმებული ხელშეკრულების მოთხოვნების (HGA) და BP–ს პოლიტიკისა და საექსპლუატაციო სახელმძღვანელოების შესაბამისი. ნორმატიული, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ჩარჩოს შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია იხილეთ ESIA–ს დამატების მე–6 თავში.

დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციო პროცესის დროს გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი, კონკრეტული დაინტერესებული მხარის სპეციფიკიდან გამომდინარე და მოიცავს შემდეგ ძირითად ქმედებებს:

- **ინფორმირება** (1): დაინტერესებული მხარეებისთვის ზუსტი, შესაბამისი, დროული და, კულტურული თვალსაზრისით მისაღები ინფორმაციის მიწოდება SCPX პროექტის ცვლილებების, მისი უარყოფითი და დადებითი მხარეების, ასევე, ESIA-ს დამატების მომზადების პროცესის შესახებ
- **ჩართულობა**: დაინტერესებული მხარეებისთვის აზრისა და წუხილის გამოხატვის შესაძლებობის მიცემა SCPX პროექტის ცვლილებებთან დაკავშირებით; დაინტერესებული მხარეების ფართო მხარდაჭერის მოპოვება და ზემოქმედებების მართვა
- **გაგება:** SCPX პროექტის ჯგუფისთვის დაინტერესებულ მხარეთა წუხილის მიზეზების და მათი პრიორიტეტების გააზრების უზრუნველყოფა
- **განხლივა**: აღნიშნული წუხილის მიზეზებისა და პრიორიტეტების ჩართვა საინჟინრო პროექტის ცვლილებებში და SCPX პროექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში
- **ინფორმირება** (2): პროექტის მსვლელობისას დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდება, კონსულტაციების უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით.

SCPX–ს აქვს დაინტერესებული მხარეების მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ძირითადი დაინტერესებული მხარეების, მათი ESIA–ს საკონსულტაციო პროცესებში მონაწილეობის და კონსულტაციების დროს წამოჭრილი საკითხების შესახებ. მონაცემთა ბაზა შესწორდა და განახლდა ESIA–ს დამატების მომზადების პროცესში. SCPX პროექტის დაინტერესებული მხარეების ნუსხაშია პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი 5

დასახლება (PAC), რომელთაგან 4 (ხაიში, ქოთიში, არალი და ნაოხრები) მოცემულია SCPX ESIA–ს საბოლოო ანგარიშის PCDP–ში, ხოლო ერთი პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლება – პატარა დურნუკი (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დანართში A) ახალი დამატებულია. ამჟამად SCPX მილსადენის მარშრუტის გასწვრივ და სამი მიწისზედა ინფრასტრუქტურის (AGI) სიახლოვეს იდენტიფიცირებულია 46 ქალაქი და სოფელი.

3 საჯარო განხილვა და დოკუმენტების გავრცელება

3.1 2014 წლის აპრილში გამოქვეყნებული ESIA-ს დამატების თავდაპირველი ვარიანტი

ESIA–ს დამატების ანგარიშის თავდაპირველი პროექტი (და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები) მომზადდა ქართულ და ინგლისურ ენებზე, ხოლო არატექნიკური რეზიუმე (NTS) - ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ESIA–ს დამატების ანგარიშის თავდაპირველი პროექტის საჯარო განხილვის პერიოდი 45 დღეს მოიცავდა; საჯარო შეხვედრები ჩატარდა განხილვის თაობაზე განაცხადის გამოქვეყნებიდან 50-60 დღის შემდეგ, SCP HGA-ისა და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

საჯარო განხილვის პერიოდი დაიწყო 2014 წლის 3 აპრილს, განცხადების გამოქვეყნებით ეროვნულ და რეგიონულ მედია საშუალებებში (იხ. ცხრ. 1); განცხადებაში მოცემული იყო ინფორმაცია განხილვის პერიოდის ხანგრძლივობის (45 დღე); ESIA–ს დამატების დკუმენტაციის განთავსების ადგილის; მთავარი საჯარო შეხვედრის თარიღისა და კომენტარების მოწოდების მექანიზმების შესახებ (იხ. დანართი B).

SCPX-ის საპროექტო ჯგუფი მუშაობდა BP-ის კომუნიკაციების დეპარტამენტთან ერთად ESIA–ს დამატების ანგარიშის პროექტის გასავრცელებლად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და პროექტის საკომუნიკაციო არხების გამოსაყენებლად.

ცხრილი 1: შეტყობინებები ESIA-ის საჯარო განხილვის შესახებ

მედია საშუალების სახელწოდება	განცხადების ტექსტის ენა	დაფარვა
24 საათი	ქართული	ქვეყნის მასშტაბით
თრიალეთის ექსპრესი	ქართული	რეგიონის მასშტაბით
სამხრეთის კარიბჭე	ქართული	რეგიონის მასშტაბით

საჯარო განხილვის პერიოდში ESIA–ს დამატების ანგარიშის პროექტი, არატექნიკური რეზიუმე (NTS) და შენიშვნების წარდგენის ფორმები ხელმისაწვდომი იყო გარკვეულ საჯარო ადგილებში, დაინტერესებული მხარეებისათვის ამ დოკუმენტაციის განხილვისა და შენიშვნების გამოთქმის საშუალების უზრუნველსაყოფად. ეს ადგილები იყო:

- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
- თეთრიწყაროს, ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალურ-ადმინისტრაციული შენობები
- შერჩეული არასამთავრობო ორგანიზაციების (CENN; REC) ოფისები
- BP-ის ოფისი.

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების (PAC) მოსახლეობისათვის ESIA–ს დამატების ანგარიშის პროექტი, არატექნიკური რეზიუმე (NTS) და შენიშვნების

წარდგენის ფორმები განთავსდა შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციულ შენობაში. არატექნიკური რეზიუმეს პროექტი და შენიშვნების წარდგენის ფორმები აგრეთვე ითარგმნა რუსულ ენაზე.

ESIA–ს დამატების ანგარიშის პროექტი და NTS ასევე განთავსდა BP-ის ვებ-გვერდზე (www.bp.com/caspian and www.bpgeorgia.ge), რომელიც ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისათვის.

HGA-ისა და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად ჩატარდა საჯარო შეხვედრები, ESIA–ს დამატების ანგარიშის პროექტის შედეგების წარდგენისა და დაინტერესებული მხარეებისაგან შენიშვნების / მოსაზრებების მოსაპოვებლად საჯარო განხილვის პერიოდში. საჯარო შეხვედრები ჩატარდა თბილისში, ხაიშში, პატარა დურნუკში, არალსა და ნაოხრებში (იხ. ცხრ. 2).

ცხრილი 2: ESIA-ის დამატების ანგარიშის თავდაპირველი პროექტის საჯარო განხილვის გრაფიკი

საქმიანობა	გრაფიკი
ESIA-ის დამატების საჯარო განხილვის პერიოდი	2014 წლის 3 აპრილი - 18 მაისი
მედია საშუალებებში საჯარო განხილვის შესახებ განცხადების გამოქვეყნება	2014 წლის 24 მარტი - 7 აპრილი
ESIA-ის დამატების პროექტისა და არატექნიკური რეზიუმეს განთავსება ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციულ შენობებსა და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში	2014 წლის 3 აპრილი
საჯარო შეხვედრები	
თბილისი	2014 წლის 13 მაისი
პატარა დურნუკი	2014 წლის 27 მაისი
ხაიში	2014 წლის 27 მაისი
არალი	2014 წლის 28 მაისი
ნაოხრები	2014 წლის 28 მაისი
საჯარო განხილვის პერიოდის დასასრული	2014 წლის 18 მაისი

3.2 2014 წლის მაისში გამოქვეყნებული ESIA-ის დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტი

ESIA–ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტი და NTS გამოქვეყნდა ქართულ ენაზე, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ენის გათვალისწინებით. ESIA–ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტის შესახებ საჯარო კონსულტაციები ფოკუსირებული იყო პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ მოსახლეობაზე და საჯარო შეხვედრები ჩატარდა ქოთიშსა და ხაიშში (იხ. ცხრ. 3 ქვემოთ). ამ შეხვედრებზე მოწვეული იყვნენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის წარმომადგენლები; გარდა ამისა, შეხვედრებზე დასწრება შეეძლო ყველა დაინტერესებულ მხარეს. საჯარო შეხვედრებს დაესწრო საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ორი წარმომადგენელი.

საჯარო განხილვის პროცესი იგივე იყო, რაც ESIA–ს დამატების ანგარიშის თავდაპირველი პროექტის შემთხვევაში, გარდა საჯარო განხილვის პერიოდის შემცირებული ხანგრძლივობისა და NTS-ის ტექსტის ენისა.

ცხრილი 3: ESIA-ის დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტის საჯარო განხილვის გრაფიკი

საქმიანობა	გრაფიკი
ESIA-ის დამატების საჯარო განხილვის პერიოდი	2014 წლის 15-25 სექტემბერი
ESIA-ის დამატების პროექტის შესწორებული ვარიანტისა და არატექნიკური რეზიუმეს განთავსება რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციულ შენობებსა და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში	2014 წლის 12 სექტემბერი
საჯარო შეხვედრები	
ქოთიში	2014 წლის 29 სექტემბერი
ხაიში	2014 წლის 29 სექტემბერი
საჯარო განხილვის პერიოდის დასასრული	2014 წლის 25 სექტემბერი

SCPX ESIA-ის საპროექტო ჯგუფმა უზრუნველყო შემდეგი:

- მასალის გამოქვეყნება ქართულ და ინგლისურ ენებზე. შემაჯამებელი დოკუმენტები მომზადდა პოპულარულ ენაზე, რათა მათი შინაარსი გასაგები ყოფილიყო არაექსპერტებისათვის
- გამოქვეყნებული მასალა სრულყოფილი იყო და ადექვატურად ასახავდა SCPX პროექტის დადებით და უარყოფით ზემოქმედებებს
- ყველა დაინტერესებული მხარე ინფორმირებული იყო გამოქვეყნების / ინფორმაციის შესახებ; მასალა ხელმისაწვდომი იყო ყველასთვის და მათ ჰქონდათ ადექვატური დრო შემოთავაზებების განსახილველად და საკუთარი მოსაზრებების / პასუხების ჩამოსაყალიბებლად
- ESIA–ს დამატების ანგარიშის პროექტში ცვლილებების შეტანამდე, საბოლოო ანგარიშის მომზადებამდე და დაინტერესებული მხარეებისათვის პასუხის გაცემამდე, ხდებოდა ნებისმიერი ვალდებულების შიდა დატკიცება SCPX პროექტის მენეჯერების მიერ.

4 საჩივრის წარდგენის მექანიზმი

BP-მ შეიმუშავა საჩივრებისა და პრეტენზიების მოგვარების მექანიზმი, რომელიც იხვეწებოდა და წარმატებით გამოიყენებოდა BTC და SCP პროექტების ფარგლებში, ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში. იგივე მექანიზმი იქნება გამოყენებული SCPX პროექტის ყველა ასპექტთან მიმართებაში, დაწყებული წინა სამშენებლო კვლევებიდან და მიწის შეძენიდან და პროექტის სრულად განხორციელების დროს (კომენტარები ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესახებ დაფიქსირდება დაინტერესებულ მხარეთა მონაცემთა ბაზაში).

5 ანგარიშის წარდგენა

ESIA-ს დამატების მომზადების პროცესის დასრულების შემდეგ, კონსულტაციების პროცესის შესახებ გაიცემა დასკვნითი ანგარიში. აღნიშნულ ანგარიშში მიმოიხილება

გაწეული საკონსულტაციო და საინფორმაციო საქმიანობა; დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის დონე; განხილული საკითხები და შედეგები; და ის, თუ რა დონეზე აისახება დაინტერესებულ მხარეებთან დაკავშირებული საკითხები, პრიორიტეტები და გადასაჭრელი პრობლემები ESIA-ს დამატების ანგარიშში. ასევე, შეძლებისდაგვარად, გათვალისწინებული იქნება მიღებული გამოცდილება.

დანართი A: PAC–ების ნუსხა

ლეგენდა:
GEO = ქართული
RU = რუსული
ARM = სომხური

საპროექტო ტერიტორიები	მუნიციპალიტეტი/ ქალაქი	ტერიტორიული ორგანო	PAC–ები	ეთნიკური კუთვნილება	მოსახ-ლეობა	ენა	შეხვედრის თარიღი
მილსადენი	თეთრიწყარო	დურნუკი	პატარა დურ-ნუკი	ARM	28	RU	27/05/2014
მილსადენი	თეთრიწყარო	ხაიში	ხაიში	GEO	600	GEO	27/05/2014 29/09/2014
მილსადენი	თეთრიწყარო	მარაბდა	ქოთიში	GEO	120	GEO	29/09/2014
PRMS & მილსადენი	ადიგენი	არალი	არალი	GEO	1850	GEO	28/05/2014
PRMS & მილსადენი	ახალციხე	წყალთბილა	ნაოხ-რები	ARM	750	RU	28/05/2014

დანართი B1: განცხადება ESIA-ის დამატების ანგარიშის თავდაპირველი პროექტის საჯარო განხილვის შესახებ

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვა

კომპანია BP მუშაობს სამხრეთ კავკასიური მილსადენის (SCP) სისტემის გაფართოების პროექტზე. ეს პროექტი, სახელწოდებით SCPX ითვალისწინებს არსებული მილსადენის გამტარუნარიანობის გაზრდას, რათა მოხდეს დამატებით 16 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირება, კასპიის ზღვიდან თურქეთისა და ევროპის ბაზრების მიმართულებით.

BP-მ უკვე მიიღო საქართველოს მთავრობის პირობადებული ნებართვა ზემოაღნიშნული გაფართოების პროექტის ფარგლებში 56 კმ სიგრძის მილსადენისა და სამი ახალი მიწისზედა ობიექტის მშენებლობაზე. შემოთავაზებულია ცვლილებები მიმდინარე პროექტში, კერძოდ: მილსადენის დიამეტრის შემცირება 48 დიუმამდე, SCPX მილსადენის დაგრძელება დამატებითი 5,3 კმ-ით, 57-ე კმ ნიშნულიდან 62.3-ე კმ ნიშნულამდე და 2,5 კმ სიგრძის დამატებითი მილსადენის მშენებლობა საქართველო-თურქეთის საზღვრამდე.

BP-მ, სამხრეთ კავკასიური მილსადენის მფლობელი საერთაშორისო კომპანია SCP Co-ს სახელით, შეუკვეთა პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) უკვე დამტკიცებული ანგარიშის დამატების მომზადება, რათა გამოევლინა და შეეფასებინა შემოთავაზებული ცვლილებებით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების მასშტაბები და დაედგინა ის ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას და ხელს შეუწყობს პროექტის ფარგლებში გაჩენილი შესაძლებლობებიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებას.

ამჟამად, BP 45-დღიანი საჯარო განხილვისთვის წარადგენს ESIA ანგარიშის დამატების პროექტს და სთხოვს დაინტერესებულ პირებს, რომ გაგვიზიარონ საკუთარი მოსაზრებები. საჯარო განხილვის პერიოდის გასვლის შემდეგ, ყველა შემოსული შენიშვნა განიხილება და, საჭიროებისამებრ, გათვალისწინებული იქნება ESIA დამატების საბოლოო ანგარიშში, რომელიც შემდეგ დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს მთავრობას.

რა დოკუმენტები იქნება გამოტანილი საჯარო განხილვისა და შენიშვნებისათვის?

- ESIA-ის ანგარიშის დამატების პროექტი
- ESIA ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე (ქართულ ენაზე; რუსულენოვანი ტექსტი ხელმისაწვდომი იქნება გარკვეულ ადგილებში)

სად შეიძლება გავეცნოთ ამ დოკუმენტებს?

ESIA ანგარიშის დამატების პროექტი და არატექნიკური რეზიუმე განთავსდება შემდეგ ადგილებში:

თბილისი	რეგიონული ადმინისტრაციული ცენტრები	ვებ-გვერდები
BP-ის ოფისი	თეთრიწყარო	www.bp.com/caspian
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა	ახალციხე	www.bpgeorgia.ge
კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)	ადიგენი	
კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus)		

არატექნიკური რეზიუმეს ასლები ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება იმ სოფლების ტერიტორიული ერთეულების ადმინისტრაციულ შენობებში, რომლებიც მდებარეობს მილსადენის შემოთავაზებული დამატებითი სექციებიდან 2 კმ მანძილზე.

რა ფორმით შეძლებს მოსახლეობა გამოთქვას შენიშვნები ESIA ანგარიშთან დაკავშირებით?

საჯარო შეხვედრები

BP გამართავს რამდენიმე საჯარო შეხვედრას. პირველი საჯარო შეხვედრა გაიმართება 2014 წლის 27 მაისს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, თბილისში (მისამართი: ფურცელაძის ქ., N3). მომდევნო შეხვედრები გაიმართება შემდეგ სოფლებში: ხაიში, პატარა დურნუკი, ნაოხრები და არალი. შეხვედრების ზუსტი ადგილი და დრო დამატებით გამოცხადდება.

ანკეტა შენიშვნებისათვის

თქვენი შენიშვნები შეგიძლიათ ჩაწეროთ ანკეტაში და

- გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე:
  BP Exploration (Caspian Sea) Ltd საქართველო
  კომუნიკაციისა და საგარეო ურთიერთობების განყოფილება
  თბილისი, 0160, სულხან ცინცაძის ქუჩა #24 (ყოფილი საბურთალოს ქუჩა #38, 0194) ან

- გადასცეთ ანკეტა საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებს, რომლებიც თქვენს რაიონში მუშაობენ.

საჯარო განხილვის სატელეფონო ხაზი და ელექტრონული ფოსტა

- ან შეგიძლიათ დარეკოთ BP-ის თბილისის ოფისში სატელეფონო ნომერზე 2593400 და მოითხოვოთ SCPX ESIA-ის დამატებაზე შენიშვნების დაფიქსირება ან შენიშვნები გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე scpxgeo@bp.com

გთხოვთ, თქვენი შენიშვნები მოგვაწოდოთ 2014 წლის 18 მაისამდე.

დანართი B2: განცხადება ESIA-ის დამატების ანგარიშის შესწორებული პროექტის საჯარო განხილვის შესახებ

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესწორებული პროექტის საჯარო განხილვა

კომპანია BP მუშაობს სამხრეთ კავკასიური მილსადენის (SCP) სისტემის გაფართოების პროექტზე. ეს პროექტი, სახელწოდებით SCPX ითვალისწინებს არსებული მილსადენის გამტარუნარიანობის გაზრდას, რათა მოხდეს დამატებით 16 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირება, კასპიის ზღვიდან თურქეთისა და ევროპის ბაზრების მიმართულებით.

BP-მ უკვე მიიღო საქართველოს მთავრობის პირობადებული ნებართვა ზემოაღნიშნული გაფართოების პროექტის ფარგლებში 56 კმ სიგრძის მილსადენისა და სამი ახალი მიწისზედა ობიექტის მშენებლობაზე. შემოთავაზებულია ცვლილებები მიმდინარე პროექტში, კერძოდ: მილსადენის დიამეტრის შემცირება 48 დიუმამდე, SCPX მილსადენის დაგრძელება დამატებითი 5,3 კმ-ით, 57-ე კმ ნიშნულიდან 62.3-ე კმ ნიშნულამდე და 2,5 კმ სიგრძის დამატებითი მილსადენის მშენებლობა საქართველო-თურქეთის საზღვრამდე.

BP-მ, სამხრეთ კავკასიური მილსადენის მფლობელი საერთაშორისო კომპანია SCP Co-ს სახელით, შეუკვეთა პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) უკვე დამტკიცებული ანგარიშის დამატების მომზადება, რათა გამოევლინა და შეეფასებინა შემოთავაზებული ცვლილებებით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების მასშტაბები და დაედგინა ის ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას და ხელს შეუწყობს პროექტის ფარგლებში გაჩენილი შესაძლებლობებიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებას. ESIA-ის დამატების თავდაპირველი პროექტი გამოქვეყნდა 2014 წლის აპრილში. ამ საჯარო განხილვის შემდეგ, მილსადენის მარშრუტის ალტერნატიული ვარიანტების განხილვის შედეგად მილსადენის შემოთავაზებულ მარშრუტში შეტანილი იქნა მცირე ცვლილებები, რის გამოც მოხდა ESIA-ის დამატების შესწორებული ვერსიის მომზადება. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2014 წლის აპრილში გამოქვეყნებული ESIA-ის დამატების შესწორებულ ვერსიას.

ამჟამად, BP 14-დღიანი საჯარო განხილვისთვის წარადგენს ESIA ანგარიშის დამატების შესწორებულ პროექტს და სთხოვს დაინტერესებულ პირებს, რომ გაგვიზიარონ საკუთარი მოსაზრებები. საჯარო განხილვის პერიოდის გასვლის შემდეგ, ყველა შემოსული შენიშვნა განიხილება და, საჭიროებისამებრ, გათვალისწინებული იქნება ESIA დამატების საბოლოო ანგარიშში, რომელიც შემდეგ დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს მთავრობას.

რა დოკუმენტები იქნება გამოტანილი საჯარო განხილვისა და შენიშვნებისათვის?

- ESIA-ის ანგარიშის დამატების შესწორებული პროექტი
- ESIA ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე

სად შეიძლება გავეცნოთ ამ დოკუმენტებს?

ESIA ანგარიშის დამატების პროექტი და არატექნიკური რეზიუმე განთავსდება რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციულ შენობებსა და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში

არატექნიკური რეზიუმეს ასლები ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება ხაიშსა და ქოთიშში, კერძოდ ამ სოფლების ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციულ შენობებში.

რა ფორმით შეძლებს მოსახლეობა გამოთქვას შენიშვნები ESIA ანგარიშთან დაკავშირებით?

საჯარო შეხვედრები

საჯარო შეხვედრები ჩატარდება ქოთიშში, ძველი სკოლის შენობაში, 29 სექტემბერს, 10.30 სთ-ზე და ხაიშში, ხაიშის რწმუნებულის ოფისში, 29 სექტემბერს, 13.00 სთ-ზე.

ანკეტა შენიშვნებისათვის

თქვენი შენიშვნები შეგიძლიათ ჩაწეროთ ანკეტაში და

- გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე:
  BP Exploration (Caspian Sea) Ltd საქართველო
  კომუნიკაციისა და საგარეო ურთიერთობების განყოფილება
  თბილისი, 0160, სულხან ცინცაძის ქუჩა #24 (ყოფილი საბურთალოს ქუჩა #38, 0194) ან

- გადასცეთ ანკეტა საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებს, რომლებიც თქვენს რაიონში მუშაობენ.

საჯარო განხილვის სატელეფონო ხაზი და ელექტრონული ფოსტა

- ან შეგიძლიათ დარეკოთ BP-ის თბილისის ოფისში სატელეფონო ნომერზე 2593400 და მოითხოვოთ SCPX ESIA-ის დამატებაზე შენიშვნების დაფიქსირება ან შენიშვნები გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე scpxgeo@bp.com

გთხოვთ, თქვენი შენიშვნები მოგვაწოდოთ 2014 წლის 25 სექტემბრამდე.

დანართი C: ESIA-ის დამატებაზე შენიშვნების წარდგენის ანკეტა

ანკეტა შენიშვნებისათვის
ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატების ანგარიშის პროექტი

ჩვენ მივესალმებით ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) დამატების ანგარიშის პროექტთან დაკავშირებულ ყველა შენიშვნას. გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები, ერთ-ერთ საჯარო შეხვედრაში მონაწილეობის მიღების, ჩვენს ვებ-გვერდზე: www.bpcaspian.com ან www.bpgeorgia.ge, შემოსვლის, ელექტრონულ მისამართზე: scpxgeo@bp.com, დაკავშირების ან ამ ანკეტის შევსების საშუალებით.

თქვენ შეგიძლიათ:
გამოგვიგზავნოთ შევსებული ანკეტა შემდეგ მისამართზე:

BP Exploration (Caspian Sea) Ltd Georgia
კომუნიკაციისა და საგარეო ურთიერთობების განყოფილება
თბილისი, 0160,
სულხან ცინცაძის ქუჩა #24 (ყოფილი საბურთალოს ქუჩა #38, 0194)

ან

გადასცეთ შევსებული ანკეტა კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერს თქვენს რაიონში:

ნატო ჯავახიშვილი 595 850 321

გთხოვთ თქვენი შენიშვნები მოგვაწოდოთ 18 მაისამდე. ჩვენ ყურადღებით განვიხილავთ და შეძლებისდაგვარად გავითვალიწინებთ არსებით შენიშვნებს, თუმცა ინდივიდუალურად ვერ ვუპასუხებთ ყველა იმ პირს, რომელიც ამ ანკეტას შეავსებს. ESIA-ის დამატების საბოლოო ანგარიში, რომელშიც აღწერილი იქნება მიღებული შენიშვნები და პასუხები, განთავსდება ვებ-გვერდებზე www.bp.com/caspian და www.bpgeorgia.ge

მადლობას მოგახსენებთ, რომ დაგვითმეთ დრო თქვენი შენიშვნების გამოსაგზავნად.

სახელი, გვარი:	**რაიონი ან რეგიონი და დასახლება:**
ტელეფონის ნომერი:	**თარიღი:**
მისამართი:	

სასურველია, თუ გვეცოდინება თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, თქვენი ყველა შენიშვნა ყურადღებით იქნება განხილული.

ESIA-ის დამატების ანგარიშის პროექტთან ან საჯარო განხილვის პროცესთან დაკავშირებული შენიშვნები ჩაწერეთ ქვემოთ მოცემულ გრაფაში. გთხოვთ, შეძლებისდაგვარად, მიუთითოთ ESIA-ის დამატების ის ნაწილი/თავი, რომელსაც თქვენი შენიშვნა შეეხება.

ESIA-ის ნაწილი	**შენიშვნა**

დანართი D: ESIA-ის დამატების საჯარო განხილვასთან დაკავშირებული შეხვედრების პოსტერი

განცხადება

2014 წლის 3 აპრილს BP-მ საჯარო განხილვისათვის გამოაქვეყნა სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის დამატების პროექტი (რომელშიც აღწერილია პროექტის ცვლილებები). ამ განცხადების მიზანია დამატებითი ინფორმაციის მიწოდება შესაბამის სოფლებში ჩასატარებელ საჯარო შეხვედრების შესახებ, რომლებიც გაიმართება შემდეგ ადგილებში, ქვემოთ განსაზღვრულ დროს:

ხაიში	სოფლის რწმუნებულის ოფისი	27 მაისი, 14.30
პატარა დურნუკი	დურნუკის რწმუნებულის ოფისი	27 მაისი, 16.00
არალი	სოფლის რწმუნებულის ოფისი	28 მაისი, 13.30
ნაოხრები	სოფლის სკოლის სხდომათა დარბაზი	28 მაისი, 15.50